



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„ 17 „ 10 2018 წ.

დადგენილება № 31

ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და „ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ოქტომბრის N63 დადგენილების თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - ლევან მაკარაძე;
 - ნინო მილაშვილი;
2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა მოამზადოს 2018 წლის პირველი ნოემბრიდან - 2019 წლის პირველ ივლისამდე.
3. სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.
4. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, ჯგუფის წევრების უფლებები და მოვალეობები განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღლიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე